პროგრამის სახელწოდება – ფინანსური აღრიცხვა

მოდულების/ქვემოდულების სახელწოდებები –

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი – ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (ფინანსური აღრიცხვა) (MSc in Financial Accountancy)/MBA

პროგრამის ხელმძღვანელი – სრული პროფესორი ელენე ხარაბაძე

პროგრამის მიზანი –
თანახმად საქართველოს კანონისა „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ სააქციო საზოგადოებები ვალდებული არიან ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოონ საერთაშორისო სტანდარტებით 2000 წლის 1 იანვრიდან, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, კომანდიტური საზოგადოებები, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და კოოპერატივები 2001 წლის 1 იანვრიდან. ინერგება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (სსბასს) საჯარო სექტორში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, როგორც პრაქტიკული, ისე სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის;

პროგრამის შედეგი –
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (ფინანსური აღრიცხვა) აკადემიური ხარისხი მიენიჭებათ მაგისტრანტებს, რომლებიც პროგრამის საფუძველზე მიღებული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით შესძლებენ: ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შეფასებასა და ანალიზს, უზრუნველყოფენ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას და ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საერთაშორისო სტანდარტებით; გაანალიზებენ საწარმოს საქმიანობასა და მის ფინანსურ შედეგებს, შესძლებენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზსა და მართვას, კონკრეტული სიტუაციების შესაბამისი სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებას.

კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები –

შრომის ბაზარზე ფინანსური აღრიცხვის სპეციალობის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებზე დიდი მოთხოვნაა, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. კურსდამთავრებულები წარმატებით მუშაობენ ფინანსურ მენეჯერებად, მთავარ ბუღალტრებად, აუდიტორებად. დასაქმებულნი არიან ისეთ სახელმწიფო სტრუქტურებში, როგორიცაა: ეროვნული ბანკი, ფინანსთა

სამინისტრო, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. განსაკუთრებით დიდია მათზე მოთხოვნა კერძო ბიზნესში, აუდიტორულ ფირმებში, კომერციულ ბანკებში. ფინანსური აღრიცხვის სპეციალობის მაგისტრები დასაქმებულნი არიან სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებში.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები –

პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ეკონომიკურ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ბიზნესის ადმინისტრირებაში); ერთი მაინც უცხო ენის (სასურველია ინგლისურის) ცოდნა B - დონეზე; ასევე, აუცილებელია კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევების, ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა; პროგრამაზე მიღებისას თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭებათ სტაჟირებისა და პროფილით მუშაობის გამოცდილების მქონე პირებს, აგრეთვე კონკურსანტებს, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული სამეცნიერო კონფერენციებში და გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები.

გამოცდის ფორმატი – წერითი;

საგამოცდო ბილეთებში საკითხების რაოდენობა – 4;